



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №077/12<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე ბერიძე (სტუდენტი)

### ფაქტები

ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრის ავტორი არის კლიენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ გაუწია სათანადო იურიდიული მომსახურება და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ადვოკატი კლიენტს წარმოადგენდა თაღლითურად გასხვისებული უძრავი ნივთის საკუთრებაში დაბრუნების თაობაზე სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეზე. სისხლის სამართლის წესით საქმის წარმოებისას, ადვოკატმა მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და რაიონულ პროკურატურას უძრავი ნივთის გასხვისებასთან დაკავშირებით წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და დამნაშავე პირთა დასჯის მოთხოვნით, რითიც დამნაშავე პირი პასუხისგებაში იქნა მიცემული და გასხვისებული ნივთი დაუბრუნდა კლიენტს. სამოქალაქო სამართლის წესით საქმის წარმოებისას, ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, რომლითაც მოითხოვა უძრავი ნივთისათვის ყადაღის დადება და აღმასრულებლისათვის გადაცემა. სასამართლოს განჩინებით ადვოკატის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და უძრავ ნივთს ყადაღა დაედო. ადვოკატმა სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს უკანონო მფლობელობიდან კლიენტის კუთვნილი ნივთის გამოთხოვის თაობაზე. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სადავო საქმის საწარმოებლად ადვოკატს არაფერი არ გაუკეთებია. ადვოკატი უთითებს, რომ საჩივრის ავტორს „ინტრიგანი“ უწოდა მისი ქმედებების გამო.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8(5) მუხლისა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე. ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება გულისხმობს ყველა იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის ინტერესების სათანადოდ წარმოდგენასა და დაცვას სასამართლოში სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა კლიენტს არ გაუწია სათანადო იურიდიული მომსახურება, არ არის დასაბუთებული. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის წესით საქმის წარმოების პროცესში განხორციელა მთელი რიგი ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვასა და მისთვის სასაურველი შედეგის, უძრავი ნივთის დაბრუნებას. რაც შეეხება შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, ეთიკის კომისიის შეფასებით, წარმომადგენლობის შეწყვეტის პროცესში ადვოკატის მიერ კლიენტისათვის „ინტრიგანის“ წოდება არ წარმოადგენს კლიენტისათვის შეურაცხყოფის მიყენებას, ადვოკატის კომენტარის შეფასებითი ხასიათიდან გამომდინარე. საჩივარი დაუსაბუთებელია, რადგან ადვოკატის ქმედებებში არ არის აღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნები.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c529eb392bfd.pdf/5c529eb392bfd.pdf>

## **დასკვნა**

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლითა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები დაცულად მიიჩნია და უარი თქვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.